

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

თეა ერაძე

გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემებისა და ეროვნული სივრცითი
მონაცემების ინფრასტრუქტურის მნიშვნელობა

ხელმძღვანელი: გეოგრაფიის აკად. დოქტორი რ. მაისურაძე

თბილისი 2016

საქართველო დიდი ისტორიის მქონე ქვეყანაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ახლა იდგამს ფეხს ევროპული ქვეყნების გვერდით. ცდილობს აუწყოს ნაბიჯები ევროპულ ცივილიზაციას და დაიმკვიდროს კუთვნილი ადგილი მათ გვერდით. ამისათვის ბევრი რამაა გასაკეთებელი სამთავრობო ინსტიტუტების მხრიდან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოს ეროვნული სივრცითი მონაცემების შექმნა, რაც მნიშვნელოვნად დაახლოვებს ჩვენს ქვეყანას ევროკავშირთან. ეს არა მხოლოდ ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებისთვისაა საჭირო, არამედ მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვისაც. ეროვნული სივრცითი მონაცემების შექმნა და გამოყენება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს, როგორც სამთავრობო სრუქტურების მუშაობას ასევე ბიზნესის სფეროს და დაეხმარება მოსახლეობას ყოველდღიურობაში.

Georgia have a big history, but it starts moving next to the European countries. It tries to follow European civilization and strengthen with them. Because of Government have to a lot of things. One of them is to do Georgian National Spatial Data Infrastructure. It will be important step to friend with Georgia and European Union. It isn't only Georgia to be member of European union, it is important to population. National Spatial Data Infrastructure crate and use, is improves governmental structures working and business and helps people every day.

ქართული სახელმწიფოს ისტორიული სწრაფვა-გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი, ევროპულ სტანდარტებთან სხვადასხვა სფეროსა თუ ინტეგრაციისა და თავსებადობას გულისხმობს. მათ შორისაა გეოგრაფიული მონაცემების სფეროც.

გეოგრაფიულ მონაცემებზე სათანადო წვდომა საჭირო წინაპირობაა ჯანსაღი და მდგრადი საზოგადოებრივი განვითარებისათვის. სწორედ ამიტომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები მსგავსად, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა შექმნას და განავითაროს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა, გეოგრაფიულ მონაცემებზე წვდომის ხელშეწყობისა და გაუმჯობესების მიზნით.

გეოგრაფიულ მონაცემებზე თავისუფალი წვდომა გაზრდის სოციალური ფუნქციების ეფექტურობას, როგორცაა: კატასტროფაზე რეგირება, სამაშველო ინიციატივები, გარემოს ანალიზი, ტრანსპორტის დაგეგმარება, უსაფრთხოება, საფოსტო და სადისტრიბუციო მომსახურება და სხვა. კომპანიები შეძლებენ ახალი პროდუქტებისა და სერვისების განვითარებას, ტრანსპორტის დაგეგმარების, სანავიგაციო მოწყობილობების, სამიეზო მომსახურებისა და გადაწყვეტილების მიღების სფეროში.

გეოგრაფიული მონაცემების ბაზარი ყოველწლიურად იზრდება 10-30%-ით. შესაბამისად, სწრაფად ვითარდება ობიექტების ძებნის, მდებარეობის განსაზღვრისა და ნავიგაციის სერვისები. გეოგრაფიულ მონაცემებზე მოთხოვნა უძრავი ქონების ბაზარზე, ტურისტულ და სატრანსპორტო სფეროში და ა. შ. დღევანდელი ბაზრისათვის საჭირო სივრცით მონაცემებზე წვდომა ხშირ შემთხვევაში რთულია და ხარჯებთანაა დაკავშირებული, რის გამოც ნაკლებეფექტურია. სწორედ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება.

რატომ არის სივრცითი მონაცემები ასეთი განსაკუთრებული? ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება დაკავშირებულია გარკვეულ ადგილებთან, ადამიანთა საქმიანობებთან, სამყაროს ბუნებრივ და სხვა მოვლენებთან. სივრცითი ინფორმაცია ადამიანს უადვილებს გარემოს აღქმას. ჩვენ ვცხოვრობთ ციფრილ ერაში და ნებისმიერ საგნის აბსტრაქტულ მოდელს ციფრული მონაცემების გამოყენებით ვქმნით. ვიყენებთ სივრცის საზოგადოდ მიღებულ, ფორმალურად შეთანხმებულ დაყოფას გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, კონტინენტის, ქვეყნის, ადმინისტრაციული ერთეულის, სტატისტიკური ერთეულის ნაკვეთის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის. დასახლებულ პუნქტში ზუსტი ადგილმდებარეობის დასადგენად ვიყენებთ მისამართებს. მომხმარებლისათვის საჭიროა მათი მისამართების შესაბამისად ფოსტის, გაზეთების, სერვისებისა და საქონლის მიწოდება როგორც ქვეყნის შიგნით ისე ქვეყნის გარეთ. სწორედ ამიტომ, მომსახურების გასამარტივებლად აუცილებელია საერთო სივრცითი ენა, რომელიც თითოეული ქვეყნის მოსახლეობისათვის იქნება საერთო და ადვილად გასაგები.

სივრცითი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენად ზემოქმედებენ საზოგადოების საქმიანობის მრავალ მიმართულებაზე, როგორცაა: ბიზნესი, ეკონომიკა, სოციალური და პოლიტიკური სფეროები. რა გავლენა შეიძლება მოახდინოს სივრცითმა მონაცემებმა ბიზნესზე? სივრცითი მონაცემები მნიშვნელოვანი საწყისი ინფორმაციაა ბიზნესის პოტენციალის განსაზღვრისა და საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებისათვის. მაგალითად სავაჭრო ცენტრის ან ბენზინგასამართი სადგურის ასაშენებლად ყველაზე მომგებიანი ადგილის შესარჩევად გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი. მნიშვნელოვანია მოსახლეობის სიმჭიდროვე, მანძილი, რომელსაც ადამიანები გადიან სამუშაო ადგილებამდე, უკვე არსებული ობიექტების ადგილმდებარეობა და ა. შ. ყველა ეს მონაცემი ხდება სივრცითი და მათი ანალიზის შედეგად შეგვიძლია განვსაზღვროთ ახალი ობიექტის მდებარეობა.

გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა (GIS) არის ინსტრუმენტების ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სხვადასხვა სახის სივრცითი მონაცემების შექმნა, შენახვა, დამუშავება, ანალიზი, მართვა და წარმოდგენა. ყველა ამ ფუნქციით გეოგრაფიულ ინფორმაციულ სისტემას შეუძლია ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს სივრცითი ინფორმაციის საფუძველზე ეფექტური გადაწყვეტილების მიღება.




ტერმინი გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა ფართო ცნებაა და მოიცავს სხვადასხვა გამოყენების შემთხვევებს, პროცესებსა და პროგრამებს. გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა ყოველთვის გამიზნულია წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების შესასრულებლად. ის შეიძლება განსხვავებული იყოს გარეგნულად და სპეციფიკური ფუნქციებით, მაგრამ ყოველთვის ეყრდნობა რუკის პროგრამულ უზრუნველყოფას, როგორც ძირითად მოდულს გეოგრაფიული ინფორმაციის წარმოსადგენად. თუ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სივრცითი მონაცემები მნიშვნელოვანია ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად და შედეგად ჩვენი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მაშინ იგივე ეხება GIS-საც. სივრცითი მონაცემები და GIS-ი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ადვილი არაა მათი განცალკევება.



ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ და კომპიუტერული ტექნოლოგიების უსასრულო შესაძლებლობებმა GIS-ი გახადა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი ისეთ სფეროებში, როგორებიცაა გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, მარკეტინგი, ურბანული დაგეგმარება, ტრანსპორტი და სხვა. ფართო საზოგადოებისთვის გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა GIS ცნობილი გახდა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწესრიგებაზე ზრუნვითა და საჯარო რეესტრის საქმიანობით.


უძრავი ქონების აღწერისა და აღრიცხვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდი მიწის კადასტრის სახელითაა ცნობილი, რომელიც XIX საუკუნიდან გამოიყენება. თანამედროვე გეოინფორმაციული ტექნოლოგიების და კომუნიკაციის მიღწევებმა მიწის კადასტრი ხარისხობრივად სხვა საფეხურზე აიყვანა.

საკადასტრო ინფორმაციის შეგროვება საუკუნეების მანძილზე, თვისობრივად, ტექნოლოგიურად და გეოგრაფიულად იცვლებოდა. საქართველოს უახლოესი წარსულის გათვალისწინებით და რეგისტრაციის პროცესის ხშირი ცვლილებების გამო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურებში სარეგისტრაციო დოკუმენტაციებში დაცულია სხვადასხვა ტიპის, სიზუსტის და განსხვავებული მეთოდოლოგიით შესრულებული საკადასტრო ინფორმაცია. მათ შორის არის ისეთებიც, რომლის მიხედვითაც რეგისტრირებული ნაკვეთის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დადგენა შეუძლებელია (სურ. 1), ისეთი საკადასტრო მონაცემებიც (ე. წ. სისტემური ინვენტარიზაციის აღწერები), რომელთაც არანაირი იურიდიული სტატუსი არ გააჩნიათ, ასევე ზუსტი ელექტრონული აზომვებით მიღებული კოორდინატებიანი ციფრული ნახაზები (სურ. 2).



სურ. 1

მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი




სურ. 2

კადასტრის შექმნის თანამედროვე მეთოდიკა ითვალისწინებს დედამიწის ზედაპირზე მდებარე ობიექტების (მიწის ნაკვეთი, შენობა) აზომვას და მათი გეოგრაფიული კოორდინატების დაფიქსირებას ელექტრონული მოწყობილობების საშუალებებით. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ობიექტების მდებარეობისა და ფართობის ციფრული სახით ასახვას. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ერთიანი საკადასტრო სტანდარტის შექმნაზე მუშაობს. ერთიანი საკადასტრო სტანდარტის შექმნა მნიშვნელოვანი ფაქტორია და ის განსაკუთრებულ როლს შეასრულებს კადასტრის ეფექტურად და თანამედროვე მიდგომებით წარმართვის პროცესში. ამ სტანდარტის შექმნის შემდეგ დადგინდება ის ერთიანი რეგულაცია და წესები, რომლითაც მომავალში კადასტრთან დაკავშირებული სხვადასხვა საქმიანობის წარმართვა მოხდება.


2006 წლამდე კადასტრის წარმოებას სისტემური სახე არ ჰქონდა, რამაც იმდროინდელი საკადასტრო მონაცემების შეგროვებისა და თავმოყრის პროცედურები, განსაკუთრებით კი რაიონებში, ფაქტობრივად სრულად მოშალა. მისი ერთიან სისტემაში მოქცევა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2006 წელს დაიწყო. 2011 წლისთვის უწყებამ კადასტრის წარმოების ცენტრალიზების პროექტი დაასრულა. ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებული ნაკვეთების საკადასტრო მონაცემების ერთიან ელექტრონულ ბაზაში განთავსება აუცილებელი პირობა გახდა.

თანამედროვე გეო ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების მიღწევებმა მიწის კადასტრი ხარისხობრივად კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა. კადასტრის თანამედროვე მეთოდი დედამიწის ზედაპირზე მდებარე ობიექტების - მიწის ნაკვეთებისა და შენობების აზომვასა და მათი კოორდინატების ელექტრონული მოწყობილობების საშუალებებით დაფიქსირებას ითვალისწინებს. ეს მეთოდი კი ობიექტების მდებარეობისა და ფართობის ციფრული სახით ასახვას უზრუნველყოფს. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საკადასტრო სისტემის შექმნის პროცესში სწორედ ამგვარი თანამედროვე მიდგომები გამოიყენა.



მიუხედავად იმისა, რომ დღეს ერთიანი საკადასტრო ბაზაა შექმნილი, კვლავაც არსებობს ძველ მონაცემებთან დაკავშირებული პრობლემები, რომელთა აღმოფხვრასა და სრულყოფაზე, დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირებასა და მათი ელექტრონული მონაცემების შექმნაზე სააგენტო მუდმივად მუშაობს, როგორც საკუთარი რესურსით, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების დახმარებით. სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სწორედ საკადასტრო მონაცემების ხარისხის გაუმჯობესება, დახვეწა და სრულყოფაა.

მომხმარებელთათვის საკადასტრო მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საკუთარ ვებ-გვერდზე თბილისის საკადასტრო რუკა განათავსა.



ამით ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა მიეცა, ინტერნეტის მეშვეობით დაათვალიეროს ქ. თბილისის ტერიტორიაზე მდებარე, მისთვის საინტერესო მიწის ნაკვეთები, მოიძიოს დეტალური ინფორმაცია ნაკვეთების საზღვრების, მათზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების შესახებ. საკადასტრო მონაცემები ახლდება რეალურ დროში. შესაბამისად, როდესაც ახალი მონაცემები ემატება საკადასტრო მონაცემთა ბაზას, დაუყოვნებლივ ხდება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, შესაბამისი საფასურის გადახდის

შემდეგ, შესაძლებელია ვებგვერდიდან საკადასტრო რუკისა და გეგმის ელექტრონული ვერსიის მიღება. ვებგვერდზე, უახლოეს მომავალში, თბილისის გარდა, სხვა ქალაქებისა და რაიონების საკადასტრო რუკებიც განთავსდება.


სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა (Spatial Data Infrastructure) უზრუნველყოფს გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების (GIS) საშუალებით შექნილი სივრცითი მონაცემების ხელმისაწვდომბას. ხატოვნად თუ განვმარტავთ, გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ მატარებლის, ხოლო სივრცითი მონაცემები-მგზავრების სახით. როგორც მატარებელს ესაჭიროება რელსები სამომხრად და მგზავრების დანიშნულების ადგილზე მისაყვანად, ასევე არის აუცილებელი სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა, სივრცითი მონაცემების გაცვლისა და მომხმარებლამდე შეუფერხებლად მიტანისათვის. სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის არსებობა უზრუნველყოფს ეფექტურ, შედეგიან კომუნიკაციას. ის ქმნის ჩარჩოსაფუძველს სივრცითი მონაცემების, მეტამონაცემების მომხმარებლისა და GIS-ის ინსტრუმენტებისათვის. SDI წარმოადგენს ტექნოლოგიების, სტანდარტების, ინსტიტუციური შეთანხმებებისა და წესების კოორდინირებულ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ გეოგრაფიული ინფორმაციის მოძიებას და გამოყენებას.

მაღალი ხარისხის სივრცითი ინფორმაცია ხშირად მიუწვდომელია, ფუნქციური შეუთავსებლობის, მონაცემთა გამოქვეყნები, მათი მოძიების შესაძლებლობის უზრუნველყოფი სერვისების არარსების გამო. მონაცემები ხშირად გროვდება და ინახება რამოდენიმე სხვადასხვა ადგილზე სახელმწიფო ინსტიტუტებში, რაც იწვევს დამატებით, არასაჭირო ხარჯებს. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი მდგრადი ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება (NSDI). NSDI წარმოადგენს პოლიტიკის, ინსტიტუციური მოქმედებების, ტექნოლოგიების, წესების, სტანდარტების, მონაცემების და ადამიანური რესურსების ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნულ დონეზე სივრცითი მონაცემების მოძიების, შეფასების, გამოყენებისა და გაზიარების ეფექტიანობას, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების, მუნიციპალური თვითმმართველობების, აკადემიური წრეების და ბიზნესის სექტორისათვის, ისე რიგითი მოქალაქეებისათვის.



2013 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება საქართველოში ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ. დებულებით განისაზღვრა კომისიის მიზანი, სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი.

სამთავრობო კომისია წარმოადგენს პოლიტიკურ დონეს, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს და სამართლებრივ საფუძვლებს. მის დაქვემდებარებაშია სამდივნო, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციული და ტექნიკური ასპექტების, კონცეფციების და სტანდარტების განსაზღვრას. არსებობს ასევე თემატური სამუშაო ჯგუფები, რომლებიც უშუალოდ განხორციელებს განსაზღვრული ამოცანების აღსრულებისათვის პრაქტიკულ პროცედურებს.



ამ დადგენილებით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნის, ექსპლოატაციისა და განვითარების პროცესების კოორდინაციის უზრუნველყოფა. სამთავრობო კომისიამ ჩამოაყალიბა NSDI-ს შექმნის და განვითარების ძირითადი მიზანი, რაც სივრცითი მონაცემების მოძიებისა და გამოყენების ხელმისაწვდომობასა და სიმარტივეში მდგომარეობს. სივრცითი მონაცემების წარმოება და მიწოდება რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს ელექტრონული მმართველობის განვითარების მოთხოვნებს და თანაბრად ითვალისწინებდეს საზოგადოებაში არსებულ სასიცოცხლო ინტერესებს -

ხელშეუხებლობას, საიდუმლოებას, უსაფრთხოებას და მონაცემებზე მომხმარებლის მარტივი წვდომისა და გამოყენების საჭიროებას. სივრცითი მონაცემების გამოყენების პირობები მარტივი და თანაბარია, რამაც ხელი უნდა შეუწყოს აღნიშნულის ფართოდ გამოყენებას.

საბაზისო სივრცითი მონაცემების წარმოება პრიორიტეტულია, სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების კომბინირება კი მარტივი. მნიშვნელოვანია მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისი, გეოგრაფიული მონაცემთა ბაზების ფორმირება INSPIRE-ის ტექნიკური სპეციფიკაციების საფუძველზე და მათი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

INSPIRE (INfrastructure for SPatial InfoRmation in the Europian Community) არის დირექტივა, რომელიც ევროპულ თანამეგობრობაში, სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით, ევროკომისიის ინიციატივით მიიღო ევროპარლამენტმა და ევროსაბჭომ 2007 წელს. სავალდებულოა INSPIRE-ს დირექტივის, ისევე, როგორც ევროკავშირის ყველა დირექტივის ასახვა ერვანულ კანონმდებლობაში, სივრცითი მონაცემების მარეგულირებელ ეროვნულ აქტებში. სწორედ ასეთ სამართლებრივ საფუძველზე შეიძლება ევროპის ქვეყნებში მონაცემთა გაზიარების გზები და მიდგომები. საერთო სივრცითი ენის განვითარების მიზნით, INSPIRE-ის დირექტივა ევროკავშირის ქვეყნებისთვის ასრულებს ერთგვარი ლექსიკონისა და გრამატიკის როლს, რომელიც აუცილებელია ყველა ეროვნული და რეგიონული ინფრასტრუქტურის გასაერთიანებლად. იგი ადგენს ტექნოლოგიებისა და სტანდარტების მარეგულირებელ წესებს - ტექნიკურ სპეციფიკაციებს. ამ გზით, საზოგადოდ გასაგები ტექნოლოგიებისა და მოდელების გამოყენებით, ყველას აქვს ერთმანეთთან კომუნიკაციის საშუალება, რაც აღრმავებს ქვეყნებსა და ხალხებს შორის თანამშრომლობას და ხელს უწყობს მომავალ განვითარებას.




დირექტივა სამართლებრივად ავალდებულებს სახელმწიფო ინსტიტუტებს გახადონ ინფორმაცია ხემისაწვდომი, ასევე იძლევა შესაძლებლობას დაწესდეს შეზღუდული წვდომა ან შესაბამისი მომსახურების საფასული მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფისათვის. INSPIRE-ის განხორციელებას ორგანიზებასა და ხელმძღვანელობას უწევს ე.წ. ოთხთა ჯგუფი, რომელშიც შედის ევროკომისიის გარემოს დაცვის გენერალური დირექტორატი, გაერთიანებული კვლევითი ცენტრი, ევროპის გარემოს დაცვის სააგენტო და ევროსტატი.

INSPIRE წარმოადგენს ელექტრონული მმართველობის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს ევროპაში, რადგან ის სახელმწიფო ინსტიტუტებს, მოქალაქეებსა თუ ეკონომიკურ მიმართულებებს არა მარტო ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისა და ბიზნესპროექტების განვითარების საშუალებას აძლევს, არამედ ცვლის მონაცემთა გაზიარებისადმი მიდგომებს ევროპაში. გაზიარება არა მხოლოდ ეკონომიკურ ღირებულებებს წარმოშობს ხარჯების დაზოგვისა თუ წარმატებული ბიზნესპროექტების განხორციელების შედეგად, არამედ შეუძლია გაზარდოს და გააფართოოს ინფორმაციულ

ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ეკონომიკური მიმართულებები, გაზარდოს ჩვენი ცხოვრების ხარისხი და ხელი შეუწყოს სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებას გაზრდილი გამჭვირვალობისა და თანამშრომლობის მეშვეობით.

მონაცემების გაზიარება სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის კონცეფციის საკვანძო ელემენტია, რადგან სივრცითი მონაცემები სხვადასხვა მიზნით გამოიყენება. უახლოეს მომავალში სივრცითი მონაცემების მომხმარებლები და მწარმოებლები ურთიერთობისთვის გამოიყენებენ ინტერნეტზე დამყარებულ ელექტრონულ სერვისებს, რაც გაადვილებს და უფრო ეფექტურს გახდის მონაცემებზე წვდომას, ასევე შესაძლებელს გახდის მონაცემთა შენახვის დუბლირების თავიდან აცილებას.



საქართველოს ეროვნული სივრცითი ინფრასტრუქტურის საქმიანობა უნდა იყოს სათანადოდ კოორდინირებული და ეფექტურად დაკავშირებული ევროკავშირის მიდგომებთან, კერძოდ, INSPIRE-ს დირექტივის განხორციელებასთან. სათანადო კოორდინაცია მოითხოვს მაკოორდინირებელ ორგანოებთან შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურის ფორმირებას როგორც პოლიტიკურ, ისე ტექნიკურ დონეზე. ამ საკითხის სათანადო გადაწყვეტა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ევროკავშირში გაწევრიანებისათვის.

სახელმწიფო ინსტიტუტებს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) შექმნისაგან უდავოდ ექნება დიდი სარგებელი. სივრცით მონაცემებზე გაუმჯობესებული წვდომა, ოპტიმალური მოდელირებისა და ალტერნატივების ანალიზის მრავალი საშუალებით, სოფლის მეურნეობისა და საგანგებო სიტუაციების მართვის, ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის, ქალაქგეგმარებისა და სხვა პროფილის პროექტების წარმატებით რეალიზების შესაძლებლობას იძლევა, რაც ქმნის უკეთეს პირობებს ჯანმრთელი და მდგრადი საზოგადოების განვითარებისათვის.

